საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/140 " 2 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ს. მეთოფიშვილისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობაზე ნიკოლოზ მარსაგიშვილის არჩევის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა გახდა ვაკანტური, ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში უფლებამოსილებას ახორციელებს 102 მოსამართლე და მათთან კონსულტაციები მოითხოვს გარკვეულ დროს, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განუხორციელებლობა, ‹‹თბილისის საქალაქო სასამართლოს დატვირთულობისა და სასამართლოს თავმჯდომარის მენეჯერული ფუნქციების გათვალისწინებით, უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ერთ-ერთი კოლეგიის თავმჯდომარისათვის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ წარმოდგენილ იქნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის სერგო მეთოფიშვილის კანდიდატურა. სერგო მეთოფიშვილი 2009 წლიდან არის საერთო სასამართლოების მოსამართლე. მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. კერძოდ, იგი სხვადასხვა დროს იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, ამჟამად კი არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სერგო მეთოფიშვილს დაეკისროს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2020 წლის 2 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე